სოციალური და ეკოლოგიური ფურცელი

№25

ივნისი

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

საქართველოს ვ. მოროშკინის სახელობის სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდისა და თსსუ გ. ქვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის გაზეთი 2009 წ.

ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

გილოცავთ ბავშვთა დაცვის დღეს!

23.04.99 01.06.2000
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2
20.05.99 01.06.2000
„ორთოპედიული სკოლა“
სიმპოზიუმი №1 №2
17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“
01.06.2000-2001-2002-2003-2004 22.12.2007
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“
28.02.2001
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში“
01.06.2001
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა“
სიმპოზიუმი №1
01.06.2001 30.05.2002 01.06.2003
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
სიმპოზიუმი №1 №2 №3
13.02.2002
„ადამიანის გენომის პროექტი“
10.03.2002
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია
5.11.2002 28.11.2002
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ქვანია“
7.11.2002
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“
2.06.2008
საქართველოს მედდათა I კონგრესი
25.XII.98
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“
01.VI.99-9.IX.2005
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია“
25.XII.99
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“
XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

01.VI.2000 01.06.2001
IV-V კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი
27.III.2001
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“
30.05.2002
VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
04.09.2002
შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან
01.06.2001 06-07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005
VII-VIII-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები“
30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში“
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9
4.04.2003
პედიატრიის აქტუალური საკითხები. IX კონფერენცია.
1.06.2003-1.06.2004
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)
19.12.2003
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II კონფერენცია
22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007; 2.06.2008; 20.12.2008
პედიატრიის აქტუალური საკითხები. XII-XIII-XV-XVII-XVIII-XIX საერთაშორისო კონფერენცია
31.05-1.06.2007 - 7.12.2007-2.06.2008
ბავშვთა კარდიოლოგთა III და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XVI კონფერენცია

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XX კონფერენცია

„პედიატრიის აქტუალური საკითხები“

თბილისი 1-2.06.2009 TBILISI

THE SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FOUND XX CONGRESSE

(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მის. ვაჟა-ფშაველას №29)

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა

XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

CMYB

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

გაღებული სიკეთე უფალთან მიდის

ადამიანის ცხოვრება ეს არის გამოცდა, ეს არის განსაცდელი და იგი უნდა გავიაროთ ღირსეულად. ღვთისგან ამქვეყნად მოვლენილი ყოველი ადამიანი არის ხატება ღვთისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას თან სდევს ადამის და ევას მიერ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა. ადამიანი უძლურია და მას სჭირდება დახმარება, მადლი სულისა წმინდისა; სჭირდება ეკლესია, რადგან ეკლესია არის უძლიერესი სულიერი ძალა; ეკლესია არის სავანე, სადაც ადამიანი ღებულობს მადლს სულისა წმინდისა, ,,უძლურთა მკურნალსა და ნაკლულევანთა აღმავსებელსა". ჩვენი წინაპრები ასე ლოცავდნენ ერთმანეთს, – ,,იხარეთ ორსავ სოფელსა შინა". ერთადერთი პირობა ამისი არის სიახლოვე უფალთან, მისი უზენაესი ნების აღსრულება, უნდა ვიჩქაროთ სიკეთის კეთება იმიტომ, რომ არავინ ვუწყით როდის მოვა ის საოცარი და საიდუმლო დღე, როცა ადამიანი უნდა წარსდგეს წინაშე უფლისა, ჩვენს მიერ გაღებული სიკეთე კი უფალთან მიდის.

ილია II

2009 წელი. კარის ეკლესიიდან მამა სერაფიმე სარეველის ხატის გადაბრძანება წმინდა სამების ეკლესიაში.

2008წლის 24 ოქტომბერს გაიმართა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია - II – ის ადსაყრდებიდან 31 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია "რწმენა და ცოდნა – საფუძვლები მსოფლიო კულტურისა"

(რწმენა და ცოდნა თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენების ფონზე)

სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" (თავისუფლების მოედანი №4)

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის კონფერენცია

ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით
SOCIAL PEDIATRICS AND CHILD HEALTH
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
SOCIAL PEDIATRICS AND SHILD HEALTH



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XIX კონფერენცია

კონფერენცია რომელიც ჩატარდა 2008 წლის 20დეკემბერს 14 საათზე თ.ს.ს-ის №1 კორპუსში (ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი) ვაჟა ფშაველას ქ. 29 12.00-14.00 ცისფერი დარბაზიე ვრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა.



მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი პაატა სურელაშვილი, ლევან ურუშაძე, გივი აბდუშელიშვილი და სხვები, სხდომის თავმჯდომარე პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი.

I.პლენარული სხდომა

საქართველოს ევრომეცნიერების საქართველოს სექციის სამედიცინო

დეპარტამენტის სამოქმედო სტრატეგია – სექციის თავმჯდომარე გ.ჩახუნაშვილი; საქართველოს პედიატრთა აკადემია

დ. ფრუიძე.

II პლენარული სხდომა

თავმჯდომარეები ი. ციციშვილი, გ.ჩახუნაშვილი, ა.კვეზერელი–კოპაძე, ქ.ნემსაძე, ყ.ფაღავა. რ. კუტუბიძე, ი.დოლიძე კ.ჩახუნაშვილი.

კურატორები: დ.ტაბუცაძე, ნ.თოფურიძე, ნ.ბადრიაშვილი, ნ.ჯობავა, ი.კორინთელი, ნ.მარინაშვილი.

ლექციები და მოხსენებები

სპორცმენთა სახელოვნებო სკოლათა ბავშვთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემური საკითხები: გ.ჩახუნაშვილი კ.ჩახუნაშვილი და ნ.ჯობავა

2. ლეპტინები მედიცინაში; ელ.ბაირამოვი, გ.ჩახუნაშვილი.

3. ჰემოსიდეროზისა და თალასემიის მკურნალობის თანამედროვე ასპექტები: მ.დ. ნ. ბადრიაშვილი.

4. ფირმა "ზურა გაგნიძის" პროდუქცია თანამედროვე მედიცინაში: ზ.გაგნიძე

5. სპორტული მედიცინის აქტუალური საკითხები ბავშვთა ასაკში: ზ.კახაბრიშვილი

6. ანტიბიოტიკოთერაპია პედიატრიულ პრაქტიკაში. გაიდლაინები ფორმატით – ქ.კვაჭაძე, მ.კორინთელი.

7. ანტიბიოტიკოთერაპია სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს. თ.ს.ს.–ის ასისტენტი პროფესორი მ.ხერხეულიძე

8. ბაქტერიოფაგოთერაპიის სამეცნიერო საფუძვლები: ყ.ფაღავა, ი.კორინთელი, თ.ღონღაძე, გ. მეცხვარიშვილი.

9. აპიჰეპატის გამოყენება კისტოფიბროზით დაავადებულთა მკურნალობის კომპლექსში: მ.დ.ნ. თოფურიძე, მ.დ.ნ.ბადრიაშვილი, მ.დ.მ.გიორგობიანი, მ.დ.თ.თოფურია.

10. პილოროსტენოზი–აქტუალური საკიტხები.

ღონისძიებათა საორგანიზაციო კომიტეტი

1. Georgian National Section of EVROSCINCE;
2. საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია;
3. Internacional Fund the world security and child;
4. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი;
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
6. თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა;
7. გესტოზების შვილობილი სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OGASH);
8. სამედიცინო-სოციალური მეცნიერების ინტერკონტინენტალური აკადემია (IAMSS);
9. საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია;
10. საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია;
11. საქართველოს ექიმთა ასოციაცია;
12. საქართველოს პედიატრთა ასოციაცია;
13. თსსუ სტუდენტური თვითმმართველობა;
14. თსსუ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო;
15. საქართველოს ახალგაზრდულ პედიატრთა ლიგა;
16. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრება ,მოძრაობა აფხაზეთისთვის".
17. სრულიად საქართველოს ქალთა კონგრესი;
18. ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA);
19. სამეცნიერო კვლევათა ხელშემწყობი საქართველოს ეროვნული კომიტეტი;
20. ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაცია;
21. საქართველოს ბავშვთა ქირურგთა ასოციაცია;
22. ქ. თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი;
23. საქართველოს სამედიცინო სპეციალისტების ასოციაცია;
24. საქართველოს პედიატრთა აკადემია.

კონფერენციის თანამდგომნი:

საქართველოს საპატრიარქო;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;



საქართველოს პარლამენტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი;

თბილისის მერიის შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და განათლების სამსახური;

საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

კავშირი ,სპორტი ჯანმრთელობისთვის, სპორტი დოპინგის გარეშე";

შპს GIC, შპს ,ევერიული".



სოციალური და ეკოლოგიური პედიატრიის გაზეთი ულოცავს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიას და მის პრეზიდენტს ბატონ დემურ ბაშელეიშვილს ნაყოფიერი, ეროვნული სულისკვეთებით მუშაობის XV წლისთავს.

მომავალში საქართველოში მოსალოდნელია გაიხსნას ამიერკავკასიის ბავშვთა კარდიოლოგიის ცენტრი

ი. იანეცი, ი. მეტრეველი და გ. ჩახუნაშვილი

2009 წელს თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა თურქულ-ქართული ჟურნალ „ფიროსმანის" პრეზენტაცია

მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) დაბადებიდან 130-ე და ვახტანგ ითონიშვილის (1958-2000) დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია

(თბილისი, 2008 წლის 23 დეკემბერი)

2008 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმისა და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თაოსნობით თბილისში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დარბაზში (რუსთაველის გამზირი 3, ეროვნული მუზეუმის შენობა) ჩატარდა გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) დაბადებიდან 130-ე და ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის ვახტანგ ითონიშვილის (1958-2000) დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია.

საორგანიზაციო ჯგუფი: პასუხისმგებელი გამოცემისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ურუშაძე.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი
(1878-1965)

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი იყო ფართო მასშტაბის მეცნიერი „ველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ცნობილი ექიმის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის (1862-1937) უმცროსი ძმა.

დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს, ზემო იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ცხრუკვეთში. იგი იმერეთის სამეფო ტახტის აზნაურის, იმერთა მეფის სოლომონ I-ის კარის მოძღვარის სვიმონ წერეთლის (მისგან იღებს სათავეს მოძღვრიშვილ-წერეთელთა ცნობილი საგვარეულო) და იმერეთის მეფის დავით II-ის პირდაპირი შთამომავალი იყო.

მიხეილ წერეთელმა 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს 1899 წელს, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. შემდეგ სწავლობდა სორბონის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით.

1900-1907 წლებში მ. წერეთელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. აქტიურად იყო ჩაბმული ანარქისტულ საქმიანობაში.

1904 წელს იგი შეუერთდა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფს გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი მოღვაწეობდა პარიზში. აქ გამოდიოდა მათი გაზეთები ,საქართველო" და , ფ პუ"კპშუ". იმავე წელს წერეთელმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის რევოლუციური ჯგუფების ინტერპარტიულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა პარიზში.

1907 წელს მ. წერეთელი საქართველოში დაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ, იმავე წლის 30 აგვისტოს, საქართველოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა – მოკლული იქნა დიდი ილია ჭავჭავაძე. გაზეთის ,ისარი" 1907 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მ. წერეთლის ცნობილი წერილი ,კაცია-ადამიანი?!". ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ილიას დაკრძალვაზე.

1909 წელს თბილისში გამოიცა მ. წერეთლის მნიშვნელოვანი სოციოლოგიური გამოკვლევა „ერი და კაცობრიობა".

1910 წელს იგი სიტყვით გამოვიდა ლონდონის ჩაგრულ ერთა ყრილობაზე.

1914 წელს მიხეილ წერეთელმა მოიპოვა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი ასირიოლოგიაში.

1912 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი გამოკვლევა „სუმერული და ქართული".

1916 წელს იგი მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ ჩაგრულ ერთა ყრილობაში. იმავე წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი კავკასიის ეთნიკური და კულტურული განვითარების საკვანძო საკითხების შესახებ.

1913-16 წლებში გამოქვეყნდა მ. წერეთლის ნაშრომი „სუმერელები და ქართველები".

1914-18 წლებში მიხეილ წერეთელი იყო საზღვარგარეთ მოქმედი მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი"-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1918-1919 წლებში იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში.

1919-20 წლებში მიხეილ წერეთელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ასირიოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. მ. წერეთელი იძულებული იყო სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო.

1922-45 წლებში იგი იყო ჯერ

გაგრძელება მე-8 გვ.

თამაზ მარინაშვილი (1935-2005) – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრის დოცენტი და სასწავლო ნაწილი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის გამგეობის წევრი და მდივანი, პედიატრიული კლინიკის დირექტორის მოადგილე, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მდივანი.

თამაზ მარინაშვილის გახსენება

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მეღვას ულელი“

ჭეშმარიტებას ბრძანებს ფრანგი მწერალი, მფრინავი და სპორტსმენი სენტ ეკზიუპერი: „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. ამასვე ეხმანება დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“

მთელი ცხოვრება განვიცდიდი ერთი მხრივ სიამაყეს საკუთარი გვარის გამო, მეორეს მხრივ, მუდამ შიშის გრძნობა მეუფლებოდა, შევძლებ კი გვარის ღირსეული წარმომადგენელი გავხდე?

ჩემი პაპა გიორგი მარინაშვილი ქართლის მართლმადიდებელი ეკლესიების დეკანოზი, ქართული ეკლესიის განძეულობის თავდადებული დამცველი იყო. იგი წინ აღუდგა გიგლა ბერბიჭაშვილის ცდას, გაეძარცვა ქართლის ეკლესიები და ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. მემკვიდრეებიც შესანიშნავი მამულიშვილები ჰყავდა დეკანოზს: ალექსანდრე მარინაშვილი, გენერალ-მაიორი, მწერალი, ჟურნალისტი, ჟურნალ „არგუმენტი ი ფაქტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მოღვაწეობდა მოსკოვში; პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი დიდი პატრიოტი, აფხაზეთის ომის გმირი, უდროოდ დაღუპული.

მამაჩემი, სახალხო ექიმი, დავით მარინაშვილი კიევის წმინდა ვლადიმირის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი, ქართულ ცხენოსანთა პოლკის უფროსი ექიმი, 1920 წლის თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების მონაწილე, გენერალ მაზნიაშვილის მკურნალი ექიმი. დავით მარინაშვილი ექიმთა ერთ-ერთ პირველ თაობას ეკუთვნოდა და 40 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს.

არ მიყვარდა სასწავლებლების და სამსახურების ცვლა. პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ვსწავლობდი თბილისის რკინიგზის № 2 ვაჟთა საშუალო სკოლაში, რომელიც ქალაქის კოლორიტულ უბანში, დიდუბეში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარეობდა. მიუხედავად უმძიმესი პერიოდისა სკოლაში, როგორც მოსწავლეთა მხრივ სიკეთე და სიყვარული სუფევდა. ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი უსაყვარლესი ქართული ენის მასწავლებლის კლიმენტი კაპანაძის გაოგნებული სახე: იმ დროს უმაღლესი ინსტანციების ბრძანებით სკოლებში ვაჟა-ფშაველას სწავლება აიკრძალა, მასწავლებელი შეგვკრებდა რამოდენიმე სანდო მოსწავლეს და გატაცებით გვიკითხავდა ვაჟას უკვდავ სტრიქონებს.

პედიატრთა X საკავშირო ყრილობა. მარცხნიდან მარჯვნივ: თ. მარინაშვილი, ი. კვაჭაძე, ნ. შავლიაშვილი, ნ. ორეხოვი და გ. ჩახუნაშვილი

როგორი ღირსეული მამულიშვილები გაიზარდნენ ჩვენს კლასში, პროფესიორი რიჩარდ მეგრელიშვილი, გროსმაისტერი ბუხუტი გურგენიძე, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე და სხვა.

ანკი როგორ შეიძლებოდა იმდროინდელ თბილისში ბოროტებას ეზეიმა, როდესაც ყოველდღიურად ვხვდებოდით პლეხანოვის პროსპექტზე მოსეირნე გალაკტიონს, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე კი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქართული სიტყვის დიდოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია დაბრძანდებოდა. ვერ ვცილდებოდით რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს, სადაც გენიალური მსახიობები მოღვაწეობდნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ჟორა შავგულიძე და მრავალი სხვა.

სკოლის დამთავრებისთანავე 1952 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. აქაც საოცარი სამყარო დამხვდა, პედაგოგებად განგებამ მომიჩინა ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლები, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები: აკადემიკოსები ალექსანდრე ნათიშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, ზაქარია მაისურაძე და სხვანი.

მუშაობის დაწყების შემდეგ ბედმა კვლავ გამანებივრა: მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა ქართული პედიატრიის ყველა კორიფეესთან: დიდ მეცნიერთან და პრაქტიკოსთან, პროფესორ მარიამ ბოკერიასთან, საოცრად მზრუნველ, მაგრამ მკაცრ პროფესორ ფელიციტა შოთაძესთან, პროფესორ ნოვატორ ირაკლი რცხილაძესთან, მაღალი ადამიანური თვისებების მქონე აკადემიკოს ირაკლი ფაღავასთან, საოცარ დინჯ და ბრძენ პიროვნებასთან პროფესორ ვლადიმერ თოხაძესთან, ერუდირებულ და ნიჭიერ პროფესორ ნოდარ ხერხეულიძესთან, ყველასათვის საყვარელ დიდებულ ადამიანთან და პროფესიონალთან პროფესორ მერი გელოვანთან. ამ ადამიანების მიმართ გამაჩნია საოცარი მადლიერების გრძნობა. მათი დამსახურებაა თუკი რაიმე თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა გამაჩნია.

ცალკე მინდა გამოვყო ჩემი ურთიერთობა უფროს მეგობართან და მასწავლებელთან, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერ, პროფესორ იოსებ კვაჭაძესთან. ჩვენმა ხანგრძლივმა თანამშრომლობამ ბევრი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. 1969 წელს ბატონმა იოსებ კვაჭაძემ, ბატონმა მირიან ქუჩუკაშვილმა და მე საქართველოში პირველად ჰიდროცეფალიით და დაუნის დაავადებით შეპყრობილ ახალშობილის ზურგის ტვინის სითხეში გამოყავით პარაზიტი ტოქსოპლაზმა გონდი. პირველად ჩვენს მიერ იქნა ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ თანდაყოლილი ინფექციები საქართველოს რესპუბლიკისათვის უცხო არაა და იგი დიდ საფრთხეს უქმნის ერის მომავალს. ეს მოსაზრება ნახევარი საუკუნით უსწრებდა წინ თანდაყოლილი ინფექციების დღევანდელ ბუმს.

1972 წლიდან კათედრაზე დავიწყეთ რევმატული ჯგუფის დაავადებების კლინიკის, იმუნოლოგიის და იმუნოგენეტიკის საკითხების შესწავლა. ამ საკითხებზე გამოქვეყნებულმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

ჩემს მიერ ბატონ იოსებ კვაჭაძესთან ერთად რესპუბლიკაში პირველად აღწერილია ათი ახალი სინდრომი და დაავადება.

დასტამბული მაქვს პედიატრიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი 83 სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოქვეყნდა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ვარ სამი სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრი.

ძალზე მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ის ძალისხმევა, რაც მოვახმარეთ საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პედიატრთა ასოციაციად გარდაქმნას, რის შემდეგ საქართველოს პედიატრები, პედიატრთა მსოფლიო ასოციაციის წევრებად მიიღეს. მაშინ მე ასოციაციის გენერალური მდივანი გახლდით.

1993 წელს თბილისის ბავშვთა №2 კლინიკურ საავადმყოფოს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და კლინიცისტი, პროფესორი მანან ჟვანია. მე კი დირექტორის მოადგილე გახლდით. საავადმყოფო დარბეული და გაჩანაგებული იყო. ქალბატონ მანანას ხელმძღვანელობით მდგომარეობა გამოსწორდა, საბოლოოდ კი თსსუ-ს რექტორის აკადემიკოს რ. ხეცურიანის ძალისხმევით საავადმყოფო გადაკეთდა უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკად (დირექტორი პროფ. რ. კუტუბიძე), რომელიც ამჟამად საუკეთესოა კლინიკაში. მასში თავმოყრილია ქართული პედიატრიული ელიტის ძირითადი ძალები.

თავის სტიქიაში (თ. მარინაშვილი)

პროფესორმა მანანა ჟვანიამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაიწყო რევმატული ჯგუფის დაავადებების და თანდაყოლილი ინფექციების შესწავლა. აღნიშნული საკითხი კათედრის ძირითადი თემატიკა გახდა.

თანდაყოლილ და მემკვიდრეობით დაავადებებს რამდენიმე კონფერენცია მიუძღვნა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ბატონი იოსების ღირსეული მოწაფე პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, ფონდის მდივანი მე გახლავართ. 6-7 ნოემბერს გამართულ კონფერენციაზე ახალგაზრდა პედიატრთა არნახული რაოდენობა მოვიდა – 800 კაცამდე. სამწუხაროდ, პედიატრიული კლინიკის დიდმა სააქტო დარბაზმა ვერ დაიტია ხალხის ასეთი მოზღვავება. სიხარულით დავაფიქსირე, თუ როგორ მოსწყურებია ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას მეცნიერული დისპუტი.

რაც შეეხება საშეფო და საკონსულტაციო მუშაობას, მას ინსტიტუტში სწავლის პერიოდიდან ვეწევი. აღნიშნული მუშაობა პროფესორ ი. კვაჭაძემ მაღალ დონეზე აიყვანა, ადრე თუ იგი ერთეული ენთუზიასტების მხრებზე გადადიოდა, დღეს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა გ. ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით საკონსულტაციო მუშაობა გააჩაღა მთელს საქართველოში, რომელშიაც მონაწილეობს ყველა მოქმედი მაღალკვალიფიციური ქართველი პედიატრი.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საკონსულტაციო მუშაობაში. წლების განმავლობაში ვიყავი თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს, თბილისის ბავშვთა IV პოლიკლინიკის, თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის კონსულტანტი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის მანძილზე 30 ათასზე მეტ ბავშვს ჩავუტარე კონსულტაცია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ცხოვრებაში ყველაზე მკაცრი მსაჯული საკუთარი სინდისია. მოღვაწეობის 43 წლის გადასახედიდან ადამიანი, უნდა თუ არა, აუცილებლად დაუსვამს კითხვას საკუთარ თავს: რისთვის იცხოვრა, საერთოდ ღირდა თუ არა მისი ამქვეყნად მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ორგვარია: პირველი – კმაყოფილების გრძნობა, უამრავი მადლიერი პაციენტი, მადლიერი სტუდენტი, სამეცნიერო თუ პრაქტიკული წარმატებების სიხარული; მეორე მხრივ კი ეჭვის ჭია გღრღნის, ამოწურე თუ არა შენი შესაძლებლობები? გაიღე თუ არა ყველაფერი სამშობლოსთვის, პასუხი ხალხს, მომავალს ეკუთვნის.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს.

საქველმოქმედო აქცია მარნეულში 19.II.2005 ∇ – 10.V.2008 ∇

საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005∇

2006 წლის 20 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის ქალბატონ ოლიკო ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ლიკა დოლიძის ხელშეწყობით თსსუ გ. ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში გაისინჯა და შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები ჩაუტარდა საგურამოს ასთმით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს. 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ. ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ღია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.

2006 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის მიერ ცხინვალის რეგიონში ორგანიზებულ აქციაში თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ექიმების მიერ (კლინიკის დირექტორი დოც. დ. ფრუიძე, პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. გ. ჩახუნაშვილი, ექიმები: მ. იოსელიანი, თ. მიქელაძე, ვ. მალაშხია, მ. ნანობაშვილი, ზ. ზარნაძე, ქ. ნეფარიძე, გ. არველაძე) გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია 500-მდე ბავშვს. 2006-2007 წლებში თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში გაისინჯა 2000-მდე ბავშვი.

საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007

საქველმოქმედო აქცია რუსთავში

საქველმოქმედო აქციები მარნეულში, დუშეთში და ახაშენში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ მუშაობა განაახლა

დასაწყისი მე-4 გვ.

ბრიუსელის უნივერსიტეტის (1922-1933), შემდეგ კი ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის (1933-1945) პროფესორი.

1920-იანი წლების პირველ ნახევარში სტამბოლის გამომცემლობამ გამოსცა მ. წერეთლის მიერ ნათარგმნი ,გილგამეშიანი“ და მისი მონოგრაფიული გამოკვლევა ,ხეთის ქვეყანა“. იყო ქართული პატრიოტული ორგანიზაციის ,თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთი ლიდერი.

1929 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტმა გერმანულ ენაზე გამოსცა წერეთლის მონოგრაფია ,ახლადაღმოჩენილი ქალდეური წარწერები“.

1933-53 წლებში საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის ,რევიუ დ,ასირიოლოჟი“ (ბელგია) ნომრებში გამოქვეყნდა მისი სტატიების სერია ურარტუს ისტორიის საკითხებზე. მ. წერეთელი არჩეული იყო ამ ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრად.

1933 წელს ბერლინში გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი თხზულების ,სიბრძნე სიცრუისა“ მიხეილ წერეთლისეული გერმანული თარგმანი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მ. წერეთელი იყო გერმანიაში მოქმედი ,ქართული სამოკავშირეო კომიტეტი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ კომიტეტის ძალისხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლდა ასობით ქართველი სამხედრო ტყვე. გარდა ამისა, 1942 წელს იგი იყო ერთ-ერთი მოთავე ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის ,ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“-ს დაფუძნებისა.

სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი აქტიურად მოღვაწეობდა რუსთველოლოგიის დარგში. 1963 წელს პარიზში გამოიცა ,ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ

მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) დაბადებიდან 130-ე და ვახტანგ ითონიშვილის (1958-2000) დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია

(თბილისი, 2008 წლის 23 დეკემბერი)

აღდგენილი და დადგენილი ტექსტი, ხოლო 1975 წელს პოემის წერეთლისეული გერმანული პროზაული თარგმანი.

1945 წლიდან იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიუნხენში.

მიხეილ წერეთელი იყო ქართული ემიგრანტული პერიოდული პრესის აქტიური თანამშრომელი. მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი ,ბედი ქართლისა“, რომელშიც გამოქვეყნებულია მ. წერეთლის არაერთი საყურადღებო წერილი. გარდა ამისა, მისი სტატიები ქვეყნდებოდა ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის ,ეორგიცა“ (ლონდონი) ფურცლებზე.

იგი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე.

ვახტანგ ითონიშვილი
(1958-2000)

შესრულდა 50 წელი ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის, საქართველოს 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვახტანგ ითონიშვილის დაბადებიდან. სრულიად ახალგაზრდა, 42 წლისა წავიდა იგი ჩვენგან და ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უდიდესი სევდა და ტკივილი დაგვიტოვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ულმობელმა ბედისწერამ ესოდენ ნაადრევად დაუსვა წერტილი მის ლამა) და ელვარე ცხოვრებას, ვახტანგმა შეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული ეროვნული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, საქართველოს და კავკასიის ისტორიის, ეთნოლოგიის საჭირბოროტო საკითხებზე გამოცემული მისი 20-მდე წიგნი და რამდენიმე ათეული სტატია. ბევრი მათგანი წარმოადგენს ახალ სიტყვას მეცნიერებაში.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მისი კოლეგის და მეგობრის, ცნობილი ეთნოლოგის გიორგი გოცირიძის სიტყვებს: ,საოცრად პრინციპული, პირდაპირი და მიზანმიმართული პიროვნება იყო. მტკიცე ნებისყოფის, ენერგიული, მღვრიე ტალღებს რომ მიაპობდა და სიცოცხლის დაუოკებელი სურვილით აღსავსეს დრო და სივრცე არ ეყო თავისი ნაღვაწის სრულად წარმოჩენისათვის. ვახტანგ ითონიშვილი მხოლოდ მოვლენას შეიძლება შევადარო, რადგან ნამდვილი მოვლენა იყო მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც, ნიჭით და გონებით გამორჩეული, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში რომ მიიქცია ყურადღება.“

ვახტანგ ითონიშვილი დაიბადა 1958 წლის 19 დეკემბერს, ცნობილი ეთნოლოგის, პროფესორ ვალერიან ითონიშვილის ოჯახში. 1980 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ასპირანტურის დასრულებისთანავე, 1983 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1986 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ეთნოლოგიაში, ხოლო 1990-იანი წლების დამდეგიდან კავკასიის ხალხთა ისტორიასა და საქართველო-კავკასიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში. უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრაზე მან შემოიკრიბა ასპირანტები და ნიჭიერი სტუდენტები, რომელნიც დღეს თავად ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1990 წელს ერთი წლით მიწვეული იყო ავსტრიაში, ვენის უნივერსიტეტსა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში კითხულობდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის კურსს.

ამ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა იმალება მისი დაუღალავი მოღვაწეობა, რომლის შედეგია სწავლულის მრავალფეროვანი და უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში. ვახტანგმა განუზომელი ამაგი დასდო კავკასიის ხალხთა ისტორიის, კავკასიის და საქართველოს ეთნოსოციალური ისტორიის,

მიგრაციული პროცესების, საისტორიო გეოგრაფიის, კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის (ძრუსიანობის“) ისტორიის, ქართველი ერის ეთნოციდის საკითხების შესწავლის საქმეს. დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კალენდრისა და ქართულ-კავკასიური ისტორიულ-ეთნოგრაფიული პლაკატების გამოცემაში. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ვახტანგ ითონიშვილმა მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა საქართველოს 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო რა არაერთი საყურადღებო წამოწყებისა და ღონისძიების სულისჩამდგმელი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან. იყო რა ღრმად ეროვნული მოღვაწე და ქართველი ერის ინტერესების უკომპრომისო დამცველი, იმავდროულად შორს იყო ყოველგვარი ფსევდოპატრიოტიზმისგან. სამეცნიერო საქმიანობაშიც და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც მუდამ იყო ისტორიზმის პრინციპის ერთგული.

ვახტანგ ითონიშვილის აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა საქართველოს ახალგაზრდა ეთნოლოგთა ასოციაცია, რომელსაც თავად უძღვებოდა. 1998 წელს მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საერთაშორისო ასოციაცია ,კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, გეოპოლიტიკა“ (საკაგ) და ევრომეცნიერების (სტრასბურგი) საქართველოს ეროვნული სექცია. იმავე წელს მეცნიერის აქტიური მონაწილეობით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ,კავკასიის ხალხთა გენოციდი“.

ვახტანგისთვის საბედისწერო გამოდგა 2000 წლის 29 ნოემბერი, – ბრმა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ეს უნიჭიერესი მკვლევარი და ის უმნიშვნელოვანესი გეგმები, რომლებსაც, სამწუხაროდ, არ ეწერა აღსრულება.



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ მუშაობა განაახლა

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის მედიცინის მეცნიერების დეპარტამენტი იწყებს მუშაობას შემდეგი შემადგენლობით

მედიცინის მეცნიერების დეპარტამენტი

	მიმართულებები	გვარი, სახელი	ტელეფონი	ექსპერტთა გვარი, სახელი, ტელ.
№	1	2	3	4
1.	ჯანდაცვის ორგანიზაცია (პროფილაქტიკური მედიცინა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა)	დ. ზარნაძე გ. კამკამიძე მ. ბუწაშვილი ი. ზარნაძე	899-93-23-54 899-32-03-03 32-03-03 39-26-02 – 72-03-23	დ. ფრუიძე (თავმჯდომარე) 877-47-74-33 გ. ლობჟანიძე 877-40-44-11 ლ. გუჯაბიძე 899-57-77-00
2.	მედიცინის ისტორია (ხალხური მედიცინა, საეკლესიო მედიცინა)	რ. შენგელია	899-56-56-60	
3.	თერაპია	ნ. ემხვარი	877-41-40-60 95-81-73	კ. ჩახუნაშვილი 877-43-44-94 ვ. გვანცელაძე 37-01-23 ზ. შაქარაშვილი 899-29-99-97
4.	ქირურგია	ნ. ლომიძე რ. კუტუბიძე რ. გაგუა	899-58-92-20 899-50-64-56 899-57-55-32	ს. გორდელაძე 899-55-05-25 დ. ჭავჭანიძე 899-53-13-11 გ. ჭაჭია 899-25-13-42
5.	პედიატრია	გ. ჩახუნაშვილი ყ. ფაღავა ქ. ნემსაძე ი. ფავლენიშვილი ი. ციციშვილი ა. კვეზერელი-კოპაძე	893-33-71-54 899-57-52-85 877-40-91-88 899-77-77-09 899-26-66-76 899-51-70-70	ვ. ჩხაიძე 877-41-89-12 დ. ტაბუცაძე 899-58-95-20 ნ. ჯობავა 899-27-04-84 ნ. უბერი 899-50-59-99 ლ. ჟორჟოლიანი 899-97-47-30 ი. მუჩაიძე 899-14-47-43
6.	მეან-გინეკოლოგია	ნ. კინტრაია	899-16-82-84	ბესო ტყეშელაშვილი 877-45-25-30
7.	ფუნდამენტური საბაზისო მედიცინა	ირ. კვაჭაძე რ. ბერიაშვილი	899-90-81-31 899-53-54-19	რ. ჩიხლაძე 877-50-18-88 რ. რუხაძე 877-40-00-40 ლ. კიკალიშვილი 877-46-71-12 გ. დიდავა 893-32-15-64
8.	სტომატოლოგია	გ. მენაბდე		გ. ყიფიანი 877-42-88-14 ზ. ვადაჭკორია 877-55-55-52
9.	ფარმაკოლოგია	ნ. გონგაძე	877-40-74-53	ლელა კალანდარიშვილი 38-18-11 893-31-67-58
10	იმუნოლოგია მოლეკულური ბიოლოგია	თ. ჩიქოვანი	899-73-03-73 37-01-29 39-60-11	
11.	კრიტიკული მედიცინა	ზ. ხელაძე ს. ჯაიანი	877-42-85-46 893-33-44-56	ნ. ლებანიძე 899-40-00-09 22-64-99 მ. ჩხაიძე 899-55-49-72 მაია ჩხაიძე 877-40-14-57
12.	ექსპერიმენტული მედიცინა	ზურა კაკაბაძე		
13.	ფსიქოლოგია ფსიქიატრია	დ. ზურაბიშვილი	877-57-11-00	
14.	სპორტული მედიცინა	ი. დოლიძე ზ. კახაბრიშვილი	855-40-67-93 899-57-85-11	პალიკო კასრაძე
15.	ახალგაზრდა სპეციალ.განათლება	გ. ჩახავა რ. ღულაძე	899-55-91-01 37-19-36 893-39-26-55 74-75-88	
16.	სამედიცინო გამომცემლობა	ზ. ბერიშვილი	899-77-22-27 39-17-09	
17.	სამედიცინო ბიოეთიკა	ავ. ჩხაიძე დ. კასრაძე ლ. ჩაჩუა ი. მანჯავიძე დ. კორძახია	899-51-84-83 899-24-52-01 899-50-52-12 899-51-50-90 899-43-33-45	

ვუსურვებთ ნაყოფიერ შემოქმედებით მიღწევებს!

ჩვენი კოლეგების კუთხე

მაკროფაგები

იმუნოლოგიის საფუძვლები

I თანდაყოლილი იმუნიტეტი

ჩვენ ვცხოვრობთ პოტენციურად მტრულ სამყაროში, რომელიც სავსეა სხვადასხვა ზომის, ფორმის და აგებულების უამრავი ინფექციური აგენტებით, რომლებსაც ახასიათებს დამანგრეველი თვისებები. „პარაზიტული გენების“ გავრცელების წინააღმდეგ გამომუშავებული იქნა მთელი რიგი დამცავი მექანიზმები. ამ დამცავი მექანიზმების მოქმედება იწვევს იმუნიტეტის წარმოქმნას. (ლათინური სიტყვისგან immunitas) და წარმოადგენს საფუძველს საგნისა, რომელსაც იმუნოლოგიას უწოდებენ. არსებობს მთელი რიგი არასპეციფიცური ანტიმიკრობული სისტემები (მაგალითად, ფაგოციტების სისტემა), რომლებიც წარმოადგენს „თანდაყოლილს“, რადგან მათი აქტიურობა არ არის დამოკიდებული ანტიგენის წინასწარ კონტაქტთან. ჩვენ განვიხილავთ ამ სისტემებს და დავინახავთ, როგორ შეიძლება ამაღლდეს მათი ეფექტურობა შეძენილი იმუნიტეტის შემთხვევაში.

ბარიერები ინფექციის წინააღმდეგ

ინფიცირების თავიდან აცილებაში უმარტივესი გზაა ის, რომ არ დავუშვათ გამომწვევის ორგანიზმში შეღწევა. დაცვის მთავარი ხაზი რა თქმა უნდა, კანია, დაუზიანებელი კანი ინფექციური აგენტებისათვის შეუღწევადია, როცა კანის საფარი დაზიანებულია, მაგალითად, დამწვრობის დროს ინფექცია მთავარ პრობლემად რჩება, თანაც ბაქტერიათა უმრავლესობა დიდხანს ვერ ცოცხლობს კანზე, რადგან მათზე დამანგრეველად მოქმედებენ რძის მჟავა და ცხიმოვანი მჟავა, რომლებსაც შეიცავს ოფლი და ჯირკვლების სეკრეტები. გამონაკლისს წარმოადგენს ოქროსფერი სტაფილოკოკი, რომლებიც ხშირად აზიანებს თმონფოლიკულებს და ჯირკვლებს. ლორწო,რომელსაც შინაგანი ორგანოების კედლები გამოყოფენ, მოქმედებს როგორც დამცავი მექანიზმი და ხელს უშლის ბაქტერიების მიმაგრებას ეპითელურ უჯრედებზე. ლორწოთი შეკავებული მიკრობები და სხვა უცხო ნაწილაკები, მექანიკურად ეპითელის წამწამებით, ხველებით და დაცემინებით. სხვა მექანიკურ ფაქტორს შეიძლება მივაკუთვნოთ ცრემლების, ნერწყვის და შარდის გამრეცხი მოქმედება. ბევრი სითხეები, რომელსაც ორგანიზმი სეკრეტირებს, შეიცავს ბაქტერიოციდულ კომპონენტებს, ისეთებს, როგორიცაა სიმჟავე კუჭის წვენში, სპერმინი და ცინკი სპერმაში, ლაქტოპეროქსიდაზა რძეში და ლიზოცომი ცრემლში, ცხვირის გამონადენსა და ნერწყვში. სულ სხვა ხასიათის მატარებელია მიკრობული ანტაგონიზმის მექანიზმი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ნორმალურ ბაქტერიულ ფლორასთან. ეს ბაქტერიები ანადგურებენ ბევრ პოტენციურ პათოგენურ მიკროორგანიზმებს და სოკოების ზრდას, აუცილებელი საკვები ნივთიერების შედეგად, ანდა ისეთი შენაერთების გამომუშავებით, როგორიცაა კოლიცინები და მჟავეები. მაგალითად, სამოს პათოგენური ფლორა იღუპება რძის მჟავით, რომელიც გამომუშავდება ერთ-ერთი სახის ბაქტერია კომენსალით. ეს ბაქტერიები გამოიმუშავებენ გლიკოგენს. თუ დამცავი ბაქტერიები დაზიანებულია ანტიბიოტიკებით, მაშინ მგრძნობელობა ინფიცირებისადმი Candida და clostridium difficile მიმართ იზრდება. თუკი მიკრობები მაინც შეაღწევენ – მაშინ დაცვის ორი მექანიზმი ამუშავდება – ბაქტერიოციდული ფერმენტების ტიპის ხსნადი ქიმიური ფაქტორები და ფაგოციტოზი („შთანთქმა უჯრედებით“).

ფაგოციტური უჯრედები სპობენ მიკროორგანიზმებს „პროფესიული“ ფაგოციტები.

მიკროორგანიზმების მიტაცება და გამომუშავება ხდება ორი ტიპის უჯრედით, რომელიც ი.ი. მენიკოვმა განსაზღვრა, როგორც მიკრო და მაკროფაგებით. მიკროფაგები. მათ პოლიმორფობირთვიან ნეიტროფილებსაც უწოდებენ. ის ხანმოკლე (ერთკვირიანი უჯრედია სეგმენტირებული ბირთვულაკებით და გრანულებით, რომლებიც არ იღუპებიან ისეთი საღებავებით, როგორიცაა პემატოქსილინი და ეოზინი. ბაზოფილებისგან განსხვავებით ნეიტროფილებში ცნობილია სამი ტიპის: პირველადი აზროფილური გრანულები, რომლებიც შეიცავენ მიელოპეროქსიდაზას, მეორადი „სპეციფიკური გრანულები“ რომელიც შეიცავს ლაქტოფერინს, ლიზოციმს და ცილებს, დამაკავშირებელ ვიტამინს 12; მესამე – რგოლი წააგავს ჩვეულებრივ ლიზოტომებს და შეიცავს მჟავე ჰიდროლიზებს.

მაკროფაგები წარმოიქმნებიან ძვლის ტვინის პრომონოციტებისგან, რომელნიც სისხლში მონოციტებად დიფერენცირების შემდეგ ბოლოს და ბოლოს რჩებიან ქსოვილში ზრდასრული მაკროფაგების სახით და ქმნიან მონონუკლეარულ ფაგოციტების სისტემას. ისინი არსებობენ ყველგან შემაერთებელ ქსოვილში და წვრილ სისხლძარღვთა მაზალურ მემბრანაში. გარდა ამისა მაკროფაგები მოეფინება ელენთის სინუსოიდებსა და ლიმფური კვანძების მედულარულ სანუსებს. განსაკუთრებით ბევრია მათი რაოდენობა ფილტვებსა და სისხლში. აქ მათ ფუნქციებს შეადგენს უცხო სხეულების გაფილტვრა. განსხვავებით პოლიმორფობირთვული ლეიკოციტებისგან მაკროფაგები დიდხანს ცოცხლობენ და კარგად აქვთ განვითარებული მიტოქონდრები და ხორკლიანი ენდოპლაზმური რეტიკულუმები. თუ პოლიმორფული ნეიტროფილები იცავენ ორგანიზმს პიოგენური (ჩირქოვანი) ბაქტერიებისგან, მაკროფაგების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს იმ ბაქტერიებთან ბრძოლა, რომლებიც ცხოვრობენ შიდა უჯრედებში.

ფაგოციტოზი

ფაგოციტოზის განხორციელებისათვის საჭიროა მოხდეს მიკრობის ადგეზია ნეიტროფილის ან მაკროფაგის ზედაპირზე, ალბათ დაფუძნებული ნახშირწყლების ნაშთების ურთიერთქმედებაზე. თავის ბუნებაზე დამოკიდებული ნაწილაკი, დამაგრებულს ფაგოციტის მემბრანაზე, შეუძლია ინცირინება შთანთქმის ფაზა აქტინმიოზინის შემოკლებული სისტემის აქტივაციის გზით, რასაც მივყევართ ნაწილაკის ირგვლივ პსევდოპოდიის წარმოქმნად.

გაგრძელება იქნება
პედიატრი კახაბერ კორსავა
ა. როიტი იმუნოლოგიის საფუძვლები

აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ

პრეამბულა

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო:

1. ვადასტურებთ ჩვენი, როგორც მეგობრების და სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობის მნიშვნელობას, განზრახული გვაქვს გავაღრმავოთ პარტნიორობა ორი ერის საკეთილდღეოდ და გავაფართოოთ თანამშრომლობა ორმხრივი პრიორიტეტების ფართო სპექტრით.

2. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენს დემოკრატიებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს, მათ შორის დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ადამიანის უფლებების პატივისცემას, ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის და ლტოლვილის ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლების ჩათვლით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების მხარდაჭერას და ევრაზიაში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

3. ხაზს ვუსვამთ ორმხრივ სურვილს გავაძლიეროთ ურთიერთობა ეკონომიკის, ენერგეტიკის, დიპლომატიის, მეცნიერების, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებში.

ნაწილი I: პარტნიორობის პრინციპები

წინამდებარე ქარტია ეფუძნება მხარეებისათვის საერთო ძირითად პრინციპებსა და შეხედულებებს:

1. ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერა წარმოადგენს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის საფუძველს.

2. ჩვენი მეგობრობა ეფუძნება საერთო გაგებას და აღიარებას ერთობლივი რწმენისა, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური ლეგიტიმურობის და შესაბამისად, სტაბილურობის მთავარ საფუძველს.

3. დემოკრატიათა შორის თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებითი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის.

4. ძლიერ, დამოუკიდებელ, სუვერენულ და დემოკრატიულ საქართველოს, რომელსაც შესწევს პასუხისმგებელი თავდაცვის ძალა, წვლილი შეაქვს არა მარტო საქართველოს ყველა მოქალაქის, არამედ ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცებაში.

5. საქართველოს მზარდ დემოკრატიას ძალუძს ასპარეზი მისცეს თავისი შრომისმოყვარე მოქალაქეების შემოქმედებით პოტენციალს, რითაც მკვეთრად გაიზრდება კეთილდღეობა როგორც მთელ რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

6. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ძალისხმევას გააღრმავოს კავშირები ევროატლანტიკური თანამეგობრობის სხვა ერებთან პოლიტიკის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და სოციალურ სფეროებში.

7. პარტნიორები აცხადებენ, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენს საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში, საქართველოს მიერ აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების საფუძველზე.

ნაწილი II: თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში

ორივე ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, რომ საქართველო იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფო. ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ერაყში კოალიციის ძალისხმევაში. ამით საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აქვს პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო უსაფრთხოებაში. საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავება წარმოადგენს საერთო პრიორიტეტს და ჩვენ ვგეგმავთ უსაფრთხოების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის პროგრამის წამოწყებას, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრობისათვის მომზადება. ამასთან, აღსანიშნავია 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ალიანსის განაცხადი, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

1. ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო შეადგენენ და შეასრულებენ ორგანიზებულ გეგმას, რომლის მიზანია ნატოსა და საქართველოს შესაძლებლობების თავსებადობისა და კოორდინაციის ამაღლება, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გაუმჯობესების გზით.

2. აღიარებენ რა, რომ მსოფლიოში მშვიდობასა და სტაბილურობას საფრთხეები ემუქრება, ითვალისწინებენ რა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე საქართველოსა და რუსეთის მიერ ძალის არ გამოყენების შესახებ აღებულ ვალდებულებას, ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები, ამ საფრთხეების აღმოფხვრისა და მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და პარტნიორობა სასარგებლოა როგორც ორივე სახელმწიფოსთვის, ისე რეგიონისთვის.

3. აცნობიერებენ რა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით გამოწვეულ მზარდ საფრთხეს, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვალდებულებას იღებენ იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის და სახიფათო ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგ გაუვრცელებლობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ექსპორტის კონტროლის ეფექტიანი განხორციელებით და ამგვარი კონტროლის გაძლიერებით.

4. თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების შესაბამის უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე დაყრდნობით, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას დააკმაყოფილოს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ლეგიტიმური საჭიროებები, მათ შორის ჯეროვანი, ნატოსთან თავსებადი სამხედრო ძალების განვითარების გზით.

ნაწილი III: ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობა

ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული გვაქვს გავაფართოვოთ თანამშრომლობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისათვის, საბაზრო-ეკონომიკური რეფორმის და ლიბერალიზაციის მხარდასაჭერად, ბიზნეს-გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დაშვების ხელშესაწყობად. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ვაჭრობას არსებითი მნიშვნელობა აქვს გლობალური ეკონომიკური ზრდის, განვითარების, თავისუფლებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის, მივესალმებით ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სამხრეთული დერეფნის განვითარებას. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში და შესაბამის საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში.

1. ვაღიარებთ რა, ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის გაზრდილი ინვესტიციების მნიშვნელობას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული გვაქვს მივაღწიოთ შეთანხმებას "ორმხრივი ინვესტიციების გაფართოების შესახებ", რათა გაიზარდოს "შეღავათების ზოგად სისტემაში" საქართველოს დაშვება და შესწავლილ იქნეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

2. ამერიკის შეერთებული შტატები მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს საქართველოს ომის შემდგომ რეკონსტრუქციასა და ფინანსურ სტაბილიზაციაში. ჩვენ განზრახული გვაქვს, ერთად ვიმუშავოთ საქართველოს ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისათვის გამიზნული პოლიტიკისა და პროგრამების გასატარებლად, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებში ინვესტიციებისა და მდგრადი გაუმჯობესების მეშვეობით საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

3. ვაღიარებთ რა, გამართულად მომუშავე, ბაზარზე ორიენტირებული ენერგეტიკის სექტორის მნიშვნელობას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული გვაქვს შევისწავლოთ საქართველოში ენერგიის წარმოების შესაძლებლობები, გავაძლიეროთ ენერგოეფექტიანობა და გავზარდოთ ევროპული ბაზრებისკენ საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული ტრანზიტის ფიზიკური უსაფრთხოება. ჩვენ განზრახული გვაქვს კიდევ უფრო განვავითაროთ აზერბაიჯანსა და თურქეთთან ჩვენი ქვეყნების მრავალწლიანი თანამშრომლობა, რომლის შედეგიც იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი აირის მილსადენები, რათა შეიქმნას ახალი სამხრეთული დერეფანი, რომელიც დაეხმარება საქართველოს და დანარჩენ ევროპას აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან იმპორტის უზრუნველყოფით მოახდინონ ბუნებრივი აირის მომარაგების დივერსიფიკაცია.

ნაწილი IV: დემოკრატიის გაძლიერება

აღიარებენ რა დღეისათვის საქართველოს მნიშვნელოვან მიღწევებს, ჩვენი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, რათა ერთობლივად ვიმუშაოთ მედიის თავისუფლების, პარლამენტის, სასამართლო რეფორმის, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებისათვის. ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას დემოკრატიის, შემწყნარებლობის და ყველა თემის მიმართ პატივისცემის საერთო ღირებულებებისადმი და განზრახული გვაქვს ვითანამშრომლოთ შემდეგ საკითხებში:

1. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მზად ვართ ვითანამშრომლოთ, რათა ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით.

2. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მზად ვართ ვითანამშრომლოთ სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ჩათვლით. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს ამ პროცესს, მათ შორის მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პოლიციის ოფიცრების ტრეინინგის ჩათვლით. სამართალდამცავი და სასამართლო შტოს გაფართოებული ურთიერთობების მეშვეობით, ჩვენ ვგეგმავთ ჯეროვანი ძალისხმევა მივმართოთ ისეთი საერთო ტრანსნაციონალური დანაშაულის საფრთხეების წინააღმდეგ, როგორიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ადამიანებით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება და კომპიუტერული დანაშაული.

3. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ, რათა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო პროცესის გამჭირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეებისა და მედიის ჩართვის გაფართოების გზით, ხელი შევუწყოთ კარგი მმართველობის გაუმჯობესებას.

4. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო პირობას ვდებთ, ვითანამშრომლოთ საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ზრდისათვის, მათ შორის წავახალისოთ პოლიტიკური პარტიების განვითარება, ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მონაწილეობით სრულვყოთ კანონმდებლობა და გავატაროთ რეფორმები უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

5. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის გასაძლიერებლად, რათა მოხდეს საჯარო პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი, მოქალაქეების ინტერესების მხარდაჭერა, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და უზრუნველვყოთ საჯარო მოხელეებზე ზედამხედველობა.

ნაწილი V: ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გამოხატავენ სურვილს, მოხდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლის პროგრამების გაფართოება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დემოკრატიისა და დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას და გაზრდის ურთიერთგაგებას.

1. აღიარებენ რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავების მნიშვნელობას, ორივე მხარეს განზრახული აქვს შემდგომში ხელი შეუწყონ კულტურულ და სოციალურ გაცვლას და საქმიანობას ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა ფულბრაიტის პროგრამა, მომავალი ლიდერების გაცვლის პროგრამა (FLEX), სტუდენტური გაცვლა (UGRAD), საკანონმდებლო განათლება და პრაქტიკა (LEAP), საერთაშორისო ვიზიტორი ლიდერების პროგრამა და ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის პროგრამა.

2. ხაზს ვუსვამთ რა ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის სიახლეებისა და დინამიზმის აუცილებლობას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული გვაქვს უზრუნველვყოთ გაძლიერებული თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში. შეერთებული შტატები გეგმავს გაამარტივოს შეერთებული შტატების ვიზის მოთხოვნის პროცესი ამერიკის კანონმდებლობის და პროცედურების შესაბამისად, ისე, რომ კულტურის, განათლების, ბიზნესის და სამეცნიერო საქმიანობაში კვალიფიციურ პირებს მიეცეთ მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული აქვთ საქართველოს ომის შემდგომ გარემოში აღადგინონ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მედია და ხელი შეუწყონ უწყვეტ კონტაქტებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და დანარჩენი საქართველოს მცხოვრებლებს შორის.

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ცოტა რამ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორზე, რომელმაც შექმნა ტერმინები: „ახალი სიცოცხლე“, „ახალი სიკვდილი“, „სიკვდილის იმუნოლოგია“, „კრიტიკული მედიცინა“ და სხვ., ბ-ნ ზურაბ ხელაძეზე.

მცირე ინფორმაცია დიდი ადამიანის დიდი ცხოვრების შესახებ

„კრიტიკული მედიცინა ეს არის „ძვირადღირებული სამსახური, ეს არის ფუფუნება იმ ქვეყნებისთვის, რომლის მედიცინაში უპირატესად შეზღუდული რესურსების მედიცინის კანონები მუშაობენ.

საჭირო იყო ამ კანონების მოძებნა და მათი საქართველოსთვის ამუშავება. დღეს ეს უკვე შემდგარი აქტია“. ასე ბრძანებს ბატონი ზურაბი მისივე რედაქტორობით გამოშვებულ ერთ-ერთი ჟურნალის წინასიტყვაობაში და იმასაც დასძენს, რომ ოცდაათი წელიწადია ამ საქმისათვის იღვწოდა, აწმყოს წარსულს უკავშირებს და ყოველდღიურ ბრძოლას ადარებს, ცალკეულ ფურცლებად კი 75000-ზე მეტი კრიტიკული ავადმყოფის მკურნალობას იხსენებს, რომელთაგან 56000-ზე მეტი სიცოცხლეს დაუბრუნდა. აქვე აღნიშნავს, რომ მისი გამოცდილებიდან გამომდინარე კრიტიკული ავადმყოფის მკურნალობის სწავლა ამ ქალაქის ერთ ადგილასაა შესაძლებელი და ეს ავადმყოფის საწოლია. ბატონი ზურაბი კრიტიკული მედიცინის გზაზე შემდგართ მხოლოდ ერთს ურჩევს – „ავადმყოფთან ყოფნა“.

მეცნიერული კვლევებიც ბ-ნ ზურაბის მიერ არის დაწყებული პირველად და ამ სფეროს მიეკუთვნება კრიტიკულ ავადმყოფთა სადიაგნოზო და სამკურნალო მეთოდებიც მის მიერ არის შექმნილი. მათ შორისაა: „სიცოცხლის გახანგრძლივების ალტერნატიული მეთოდი“, „ანტილეტალური იმუნოგლობულინი“, „სიკვდილის ფაქტორის გამოყოფის მეთოდი“, „იმუნოსორბციის მეთოდი“, „მოზრდილთა რესპირაციული დისტრეს სინდრომის მკურნალობის მეთოდი“, „ციტოკინური ქარიშხალის ჩაქრობის მეთოდი“ და მრავალი სხვა საინტერესო კვლევები თუ საინტერესო მეთოდები.

მასვე ეკუთვნის საქართველოში ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო, რომელიც კრიტიკულ მედიცინაში შეიქმნა. ვუსურვოთ ბატონ ზურაბს ყოველივე საუკეთესო, და დიდ მადლობას ვუხდი პირადად მე, ამ სტატიის ავტორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი იმისათვის, რომ იგი ზრუნავს მომავალ თაობაზე ანუ ჩვენზე და გვეხმარება, რათა ადვილად დავეუფლოთ მედიცინის ამ სფეროს. ეს არის მცირე ინფორმაცია დიდი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ნინო ტყეშელაშვილი

ჯანმრთელობის დაცვა

სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2007

დემოგრაფიული სტატისტიკა.

ეკონოკირი განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს საქართველოს საშუალო წლიური მოსახლეობის რაოდენობა 4388400 ადამიანს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის 52,6% ქალია, 47,4% მამაკაცი. ქვეყნის ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის 52,5% სოფლებში – 47,5%.

საქართველოში 15 წლამდე ასაკის ბავშვთა პროცენტული შემადგენლობა 2002 – 2007 წლებში 21,0%-დან 17,5%-მდე შემცირდა, 65 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობა კი 12,9%-დან 14,6%-მდე გაიზარდა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2007 წელს აღრიცხულია 49287 ცოცხალშობილი.

2007 დაბადებულთა საერთო რიცხვიდან 52,5% ვაჟია, 47,5% - გოგონა. 30წლამდე ასაკის დედებზე ცოცხალშობილთა 76,7% მოდის.

საქართველოს მოსახლეობაში ოჯახის დაგეგმვის პროცესში ფართოდ დამკვიდრდა მეორე შვილის ყოლის სამომავლოდ გადადების ტენდენცია. 1990-იან წლებში ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან პირველი ბავშვის დაბადების წილი 44,5%, მეორე ბავშვის – 34%, მესამე ბავშვის – 15,6% მეოთხე და მეტი ბავშვის წილი კი – 5,8% შეადგენდა. 2007წელს ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან პირველი ბავშვის წილი 60,6% მეორე ბავშვის – 28,6%, მესამე ბავშვის კი – 8,2% შობადობის მაჩვენებელმა 2005 წელს, 1989 წელთან შედარებით, 16,8-დან 10,7-მდე დაიკლო, რაც აისახა ბუნებრივი მატების მაჩვენებლის კლებაზე და 2005 წელს იგი 0,8-ს გაუტოლდა (1989 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 7,7 იყო). 2006 წელს შობადობის მაჩვენებელმა 0,2-ით მოიმატა, ხოლო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1,3 ტოლი იყო. 2007 წელს აღირიცხა შობადობის (10,9-დან-11,2-მდე) და ბუნებრივი მატების (1,3-დან-1,8-მდე) მაჩვენებლების ზრდა.

2007წელს უარყოფითი ბუნებრივი მატება აღირიცხა ქვეყნის სამ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი).

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ყველა ეტაპზე სოფლის მოსახლეობა მაღალი შობადობის მაჩვენებლით ხასიათდება, 2007 წელს ცოცხალშობილთა მხოლოდ 31,4%-ია სოფელში მაცხოვრებელი, შესაბამისად, საქართველოს 7 რეგიონის (გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო–ზემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი) სოფლის მოსახლეობაში აღირიცხა უარყოფითი ბუნებრივი მატება.

შობადობის ჯამობრივი მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანა ნორმალური რეპროდუქტიულობის დონეზე ბევრად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება: 1,45 ბავშვი ერთ ქულაზე.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლად დაბადებულზე 1970წლიდან 2004 წლამდე თითქმის არ იცვლებოდა და საშუალოდ 23,6-ს შეადგენდა.2005 წლიდან აღინიშნა შემცირების ტენდენცია და 2007 წელს მაჩვენებელმა 13,3 შეადგინა. შედარებისთვის: ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2007 წელს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 14,1-ის ტოლ იყო.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში 1997-2004 წლებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო ევროპის რეგიონში.

2005 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ შემცირდა და 100000 ცოცხალშობილზე 23,4 შეადგინა, კლების ტენდენცია შენარჩუნებულია 2006-2007 წლებშიც (დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, შესაბამისად, 23,0 და 20,2).

2007 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მკვდარი დაიბადა 632 ბავშვი (მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 14,7).

საქართველოს 60-70-იანი წლებში, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებლით გამოირჩეოდა. 1992 წლიდან სიკვდილიანობის მაჩვენებელი მატულობს და 2004 წელს საქართველოსთვის მაქსიმალური ხდება – 11,3. ამ წელს საქართველოში მოქმედებდა DFID – ის პროგრამა, რომლის შესაბამისად, გარდა გარდაცვალების ტრადიციული სამოქალაქო აქტებისა (მმაჩის ბიუროდან), სტატისტიკის დეპარტამენტში შედიოდა და მუშავდებოდა სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული დაბადების და გარდაცვალების სამედიცინო ცნობები. 2004 წელს სულ აღრიცხულ იქნა 48793 გარდაცვალების შემთხვევა. პროგრამის დამთავრების შემდეგ 2005 წელს აღრიცხულია 40721, ხოლო 2006წელს – 42255 გარდაცვალების შემთხვევა (სიკვდილიანობის ზოგადი მაჩვენებელი – 9,6).

2207 წელს აღრიცხულია გარდაცვალების 41178 შემთხვევა, შესაბამისად სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 9,4-მდე დაიკლო. 2007წელს გარდაცვლილთა შორის 64,1% ქალაქის და 35,9% სოფლის მაცხოვრებელია, მაშინ როცა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა მთელი მოსახლეობის 52,5% ხოლო სოფლის მოსახლეობა 47,5%-ს შეადგენს.

საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცებში სიკვდილიანობა გაცილებით მაღალია და ხასიათდება უფრო სწრაფი ზრდის ტემპით, ვიდრე ქალებში. მამაკაცებში სიკვდილიანობის მაჩვენებელია 10,6, ქალებში კი 8,3.

2007 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები სიკვდილის ყველა შემთხვევის 66,9%, სიმსივნეები 10,9% ტრაუმები, მოწამვლები და გარე მიზეზის ზემოქმედების შედეგები 3,2%-ია, ხოლო სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები 8,4% შეადგენდა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა უფრო დაბალია ვიდრე ევროპის რეგიონში: 2007წელს იგი 75,1%-ის ტოლია (მამაკაცებში – 70,5; ქალებში- 79,4).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ცნობარი 2007. თბილისი 2008

ბავშვის განვითარების ეროვნული ცენტრი

მოკლე ისტორია:

საქ-ოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნი გ. წერეთლის და საქ-ოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელის, ქ-ნ ჯ. ბარბერისის ინიციატივით ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების საპარლამენტო ალიანსის ჩამოყალიბება.

● ბავშვის განვითარების სასწავლო კურიკულუმის შემუშავება და ინტეგრაცია თ.ს.ს.-ის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში.

● ბავშვის განვითარებაზე ზედამხედველობის სასწავლო კურსის გაცნობა სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

● ლიტვის სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციის ‘გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ერთობლივი ძალისხმევით სამედიცინო პერსონალის მომზადება ვილნიუსსა და თბილისში.

● მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე ბავშვის განვითარებისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის დაარსების შესახებ პროექტის განხილვა.

● ბავშვის განვითარებისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტში იძულებით ადგილნაცვალ პირთა ბავშვების განვითარებაზე ზედამხედველობისა და ფსიქიატრიული სტაციონარული დახმარების ფინანსური უზრუნველყოფა.

მიზანი

ბავშვის განვითარების ეროვნული ცენტრი მიზნად ისახავს ბავშვთა ჯანმრთელობის და გლობალური განვითარების შეფასებას, გაუმჯობესებას, განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის ძირითადი მიმართულებები

● სამეცნიერო კვლევითი
● კლინიკური
● სასწავლო პედაგოგიური
● ბავშვის განვითარების ცენტრი
● მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი

ბავშვის განვითარების ცენტრის სერვისები

ბავშვის განვითარების შეფასება და მონიტორინგი:

● ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება
● მხედველობის სკრინინგი
● სმენის სკრინინგი
● ნუტრიციული სტატუსის შეფასება
● გლობალური განვითარების შეფასება
● აუტიზმის სკრინინგი
● მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის შეფასება
● ფსიქო-სოციალური რისკის გამოვლენა

მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი

მიზნები:

● განვითარების შეფასება;
● დედა – ბავშვის ურთიერთობის შეფასება და მართვა;
● ოჯახური კონსულტაცია და თერაპია;
● ჯგუფური თერაპია.

ცენტრის მომსახურების სფეროები:

1. ნევროტული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობა;
2. კვებითი აშლილობა – ბულემია და ანორექსია;
3. ფსიქოლოგიური განვითარების აშლილობა;

მეტყველების და ენის სპეციფიური განვითარებითი აშლილობა;

პერვაზიული განვითარებითი აშლილობა;

4. ბავშვობაში და მოზარდობაში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობა.

ცენტრი სამი ტიპის მომსახურებას ითვალისწინებს

● დღის სტაციონარი
● სტაციონარი
● ამბულატორიული მომსახურება.

ნათია ბერულაშვილი

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
Georgian Children's Cardiologists Association

CAC

SOS!

დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

ორთოპედიული კორსეტი (სქოლიოზის პრევენციისათვის) **ხერხემლის ესპანდერი**

* **ხერხემლის გამრუდების პროფილაქტიკისათვის;**
* **დაღლილობის მოხსნისათვის;**
* **რეკომენდირებულია ყველასათვის 6-დან 25 წლამდე.**

ესპანდერის დანიშნულება:

სკოლამდელი ბავშვებისათვის ხერხემლის პროფილაქტიკისათვის;

დაღლილობის მოსახსნელად.

ჩაცმის წესი

1. ესპანდერი უნდა იყოს მორგებული თეთრეულის ზემოთ.
2. მარყუჟებში ხელების გაყრის შემდეგ გაასწორეთ რეზინები მხრებზე.
3. ესპანდერი ითვლება სწორედ მორგებულად, თუ ჩაცმის შემდეგ მომხმარებელი გრძნობს რეზინის დაჭიმვის ძალას.

ექსპლუატაციის ვადა 6 თვეა.

ესპანდერის ტარების დროს თქვენ დაზღვეული ხართ მოხრილობისგან.

ესპანდერი მიზანშეწონილია ბავშვებისათვის 6-14 წლამდე.

მოზრდილებისათვის, იმ პიროვნებისათვის, ვისი სამსახურიც მჯდომიარე ხასიათს ატარებს.

ესპანდერი მუდმივად აიძულებს ადამიანს გაიმართოს ხერხემალში და გაშალოს მხრები.

ესპანდერი მოკლე ხანში გახდება თქვენი განუყრელი მეგობარი.

(დამზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირის“ მიერ.)

G I C

საქართველო-გერმანიის ერთობლივი შპს GIC არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ბიზნეს საბჭოს წევრი 2005 წლის აპრილიდან. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის მიმართულებებია:

სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების დამზადება და დისტრიბუცია

* სადერატიზაციო;
* სადეზინფექციო;
* სადეზინსექციო;
* საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო.

სპორტსმენებისათვის აუცილებელია:

„ი ვ ე რ ი უ ლ ი“

ნატურალური, გამამხნევებელი, გაზიანი სასმელი

უალკოჰოლო, ვიტამინიზირებული, გაზიანი სასმელი „ივერიული“ დამზადებულია უნიკალური თვისებების მქონე ქართული (კავკასიური) ფუტკრის პროდუქტებით და ყურძნის ნაყენის გამოყენებით.

სასმელში ოპტიმალური თანაფარდობითაა შერწყმული ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთიერებები – ამინომჟავები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

ორიგინალური რეცეპტურა, რომელიც ეფუძნება ქართულ ხალხურ სამედიცინო სიბრძნეს, განაპირობებს სასმელის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას და შენახვის ვადის გახანგრძლივებას კონსერვანტების გარეშე. სასმელის მდგრადობა შენარჩუნებულია ნატურალური მცენარეული ნივთიერებით.

სასმელი „ივერიული“ გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი. უცხოური და ადგილობრივი მსგავსი პროდუქტებისაგან განსხვავებით არ შეიცავს: ესენციებს, კონსერვანტებს, საღებავებს, შაქრის შემცველს.

სასმელის შემადგენლობა უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმში, ამინომჟავებისა და ვიტამინების დეფიციტის შევსებას. ხსნის ფიზიკურ და გონებრივ დაღლილობას. აუმჯობესებს გულის მუშაობას, კვებავს ტვინს, აწესრიგებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს, მოზარდებში ხელს უწყობს ზრდის პროცესის გააქტიურებას. სპირტიანი სასმელების მიღების შემდეგ ორგანიზმში ხდება ალკოჰოლის დეზინტოქსიკაცია. ამინომჟავებით და ვიტამინებით გამდიდრებულმა სასმელმა „ივერიულმა“ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპორტსმენთა მომზადების სფეროში. სპორტსმენთა მიერ ამ გამამხნევებელი სასმელის სისტემატურად მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წვრთნისა და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, ორგანიზმში აღდგენითი პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

„ივერიული“ რეკომენდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის და სპორტის დეპარტამენტის მიერ.

იმუნოთერაპიული სამკურნალო პრეპარატი ანტიკანცეროგენული თვისებებით

GA-40



АНТИКАНЦЕРОГЕННЫЙ И ИММУНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ПРЕПАРАТ

ANTICANCEROGENIC AND IMMUNOTHERAPEUTIC AGENT

GA-40 წარმოადგენს პოლიპეპტიდების კომპლექს რომელიც მიღებულია ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მცენარეული ნედლეულისაგან.

GA-40 გამოირჩევა:

* ორგანიზმზე უსაფრთხო მოქმედებით
* ორგანიზმში არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნებზე ორმაგი მოქმედებით: პირდაპირ – მანეკროზირებელი და არა პირდაპირი – ანტისიმსივნური იმუნიტეტის აქტივაციით.
* იმუნოკორექციის უნარით, რაც განსაზღვრავს მის ფართო სპექტრით წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმა კოლოგიური კომიტეტის, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ.

რეგისტრაცია *MP* №003008

პატენტი *P* 2256

NOVARTIS CONSUMER HEALTH

NOVARTIS

იმუნორეაბილიტაციისათვის საკონსულტაციოდ შეგიძლიათ მიმართოთ:

ბავშთათვის → თ.ს.ს.უ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის იმუნოგენეტიკური პროგნოზირების ლაბორატორია ტელ: 52-80-74

მოზრდილთათვის → საკონსულტაციო-სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი. ტელ.: 877 43-44-94

მთავარი რედაქტორი - გ.ჩახუნაშვილი
მოადგილე - თ. მიქელაძე, გ.ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: მ. ნანობაშვილი, ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, გ. არველაძე, ქ. ნეფარიძე, ნ. მარინაშვილი, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. ტყეშელაშვილი, ნ. ბერულაშვილი

მისამართი: ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 52-80-74
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება

CMYB